ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №24

11.09.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ალექსანდრე ტოგონიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ეკატერინე ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823663-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823665-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823663-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - **№011814014-67; №01182142685-67).**

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 2 წინადადება).

1. განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) **- ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, №143 (№6/25); ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, №143-ში (ნაკვეთი №6/26) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.01.006.025; 01.11.01.006.091; საერთო ფართობი: 3 203 კვ.მ.); სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№011814014-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011814014-67 განცხადით,** ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143 (ნაკვეთი №6/25) და ქალაქ თბილისში, ანდრონიკაშვილის ქუჩა №143-ში (ნაკვეთი №6/26) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.01.006.025, 01.11.01.006.091; საერთო ფართობი: 3 203 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. არსებული მდგომარეობით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები და მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია სამრეწველო ზონა 1-ის შესაბამისად, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1 (ს-1), ხოლო სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) **- ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა №61; დავით აღმაშენებლის**

ხეივანი №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022, ფართობი: 1005 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01182142685-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №01182142685-67 **განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა №61/ქალაქი თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022) ნაწილზე (ფართობი: 1005 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №212 განკარგულების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. №61, ქალაქ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.022, ფართობი: 15 254 კვ.მ.) სასამართლოს და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 27 ივლისის №212 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 2 წინადადება - №011814014-67; №01182142685-67) **დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823663-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №011814014-67; №01182142685-67) დადებითად შეფასებისა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 24 აგვისტოს **№12-031823663-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - **№011814014-67; №01182142685-67)** განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823665-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ალ. ტოგონიძემ.

მომხსენებლის (ალ. ტოგონიძე) ინფორმაციის თანახმად, თბილისის განვითარების ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ქაოტური განაშენიანებისგან დაცვა და ამ მიმართულებით ქალაქის სწორი ურბანული პოლიტიკის განსაზღვრა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია დედაქალაქის ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაზრდილია განაშენიანებაზე მოთხოვნა, რის გამოც, აუცილებელია სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომის ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი სარეკრეაციო გარემოს შენარჩუნება, ასევე მშენებლობებისთვის დასაშვები პარამეტრების და პირობების განსაზღვრა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების დანართი №4-ით განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და „ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე.

წარმოდგენილი ცვლილებით, ფართოვდება დაწესებული შეზღუდვის გამომრიცხველი გარემოება. კერძოდ, შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება ან/და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონის ხარვეზის (მათ შორის, სატრანსპორტო ზონის) და სხვა უზუსტობის შესწორება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ბ-ნმა რ. სოხაძემ და ბ-ნმა გ. ტყემალაძემ.

გამომსვლელებმა ისაუბრეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების დანართი №4-ით (ცვლილება შეტანილია №18-62 დადგენილებით, 04.05.2018წ.), განვითარების კონცეფციისა და „ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე, 6 თვის ვადით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწესებული განსაზღვრული შეზღუდვების თაობაზე და აღნიშნეს, რომ „ჩარჩო გეგმის“ შემუშავების პრინციპები აუცილებლად თანხვედრაში იყოს მოყვანილი მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის მოთხოვნებსა და პრინციპებთან, რომლის განხილვაც უახლოეს პერიოდში (2 კვირაში) იგეგმება.

გარდა ზემოთქმულისა, ბ-ნმა რ. სოხაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის „ჩარჩო გეგმის“ შემუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებები აუცილებლად უნდა განხორციელდეს დადგენილ, ნთვიან ვადაში.

კომისიის წევრმა ბ-ნმა გ. ტყემალაძემ დამატებით ისაუბრა განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით, „ჩარჩო გეგმას“ დაქვემდებარებული ტერიტორიების (მათ შორის, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის) შესახებ. მისი წინადადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მონაწილეობით დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი და დადგენილი „ჩარჩო გეგმას“ დაქვემდებარებული თერთმეტივე ტერიტორიის საზღვრები, რათა, სამომავლოდ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.

შეკითხვები დასვეს საკრებულოს წევრებმა:

ბ-ნმა ვ. შაქარიშვილმა - „ჩარჩო გეგმას“ დაქვემდებარებული ტერიტორიების ინვენტარიზაციის თაობაზე.

ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა - ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიისთვის „ჩარჩო გეგმის“ შემუშავების პროცედურებისა და ვადების შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა ალ. ტოგონიძემ, რომლის განმარტებით:

- „ჩარჩო გეგმები“ უნდა დამუშავდეს, ძირითადად, მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ რეკომენდებულ, ასევე, რამდენიმე კონკრეტული სამშენებლო პროექტის განსახორციელებელ არეალებზე (ტერიტორიებზე).

- კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემუშავდა და კონკურსის (ტენდერის) გამოსაცხადებლად მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს გადაეცა „ჩარჩო გეგმის“ ტექნიკური დავალება. „ჩარჩო გეგმას“ დაქვემდებარებული თერთმეტივე ტერიტორიის (მათ შორისაა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია) საერთო ფართობი შეადგენს 8 700 ჰექტარს და მოცულობიდან გამომდინარე, შესაბამისი სამუშაოები განხორციელდება ორ ეტაპად, რასაც, სავარაუდოდ, 9 თვე დასჭირდება. თუმცა, კანონმდებლობით დადგენილი ვადები არ დაირღვევა.

მომხსენებლის მიერ (ალ. ტოგონიძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 24 აგვისტოს №12-031823665-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 24 აგვისტოს **№12-031823665-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე